სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 3 22 0000938419

24/08/2022

სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის" 22-ე მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანების, ,,2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2022 წლის 29 ივლისის MES 9 22 00001.1/74 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისადა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ გამოკითხვის წესით მიღებული 2022 წლის 4 აგვისტოს N 01-05-04/103 დადგენილების (ოქმი N01-05-02/24 04.08.2022 წ.) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის, რომლებმაც სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მობილობის მსურველ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის შედეგად მოიპოვეს სტუ–ში მობილობის წესით ჩარიცხვის უფლება, განცხადების (დანართი 1) და თანდართული დოკუმენტაციის

(დანართი 2) სტუ–ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის ელფოსტაზე study@gtu.ge ელექტრონულად ატვირთვის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 12 სექტემბრიდან – 16 სექტემბრის 17^{00} საათამდე;

2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსს თ. წერეთელს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ის საქმის წარმოების დეპარტამენტს;
4. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვა განხორციელდეს შესაბამისი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე დაშვების წინაპირობის (იხ. დანართი3 და დანართი 4) გათვალისწინებით;
5. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის მიზნით სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის (იხ. დანართი3 და დანართი 4) შესაბამისად გამოცდა უცხო ენაში ჩატარდეს 2022 წლის 17 სექტემბერს 12^{00} სთ-ზე. სტუ-ის I კორპუსში, საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრში (დარბაზი II) კოსტავას ქ. N68-; უცხო ენაში გამოცდის შედეგები გამოქვეყნდეს 2022 წლის 17 სექტემბერს;
6. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის მიზნით სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის (იხ. დანართი3 და დანართი 4) შესაბამისად გასაუბრება უცხო ენაში ჩატარდეს 2022 წლის 17 სექტემბერს 12^{00}სთ-ზე. სტუ-ის ადმინისტრაციულ კორპუსში, კოსტავას ქ. N77, (ცენტრალურ ბიბლიოთეკაში); უცხო ენაში გასაუბრების შედეგები გამოქვეყნდეს 2022 წლის 17 სექტემბერს.
7. სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის მიზნით სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის (იხ. დანართი3) შესაბამისად გამოცდა სასპეციალიზაციო საგნებში ჩატარდეს 2022 წლის 17 სექტემბერს 14^{00}სთ-ზე. სტუ-ის I კორპუსში, საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრში (დარბაზი II) კოსტავას ქ. N68-; სასპეციალიზაციო გამოცდების პირველადი შედეგები გამოცხადდეს შესაბამისად 2022 წლის 17 სექტემბერს;
8. სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის მიზნით სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის (იხ. დანართი 4) შესაბამისად გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან ჩატარდეს 2022 წლის 17 სექტემბერს 14^{00} სთ-ზე. სტუ-ის ადმინისტრაციულ კორპუსში, კოსტავას ქ. N77, (ცენტრალურ ბიბლიოთეკაში); გასაუბრების შედეგები გამოქვეყნდეს 2022 წლის 17 სექტემბერს.
9. სასპეციალიზაციო საგანებსა და უცხო ენაში ჩატარებული გამოცდების შედეგების სააპელაციო განაცხადები მიიღება 2022 წლის 17 სექტემბრიდან 19 სექტემბრის 12^{00} საათამდე გამოცდის ჩატარების ადგილზე. საბოლოო შედეგები აპელაციის გათვალისწინებით გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2022 წლის 19 სექტემბერის 17^{00} საათამდე.
10. დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების ადმინისტრაციას მოტივირებული დასკვნების მომზადება (დანართი 5) და შედეგების მობილობის მსურველთათვის გაცნობა არაუგვიანეს 2022 წლის 20 სექტემბრის 17 საათისა;
11. ფაკულტეტის მიერ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტის (დანართი 6) სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში წარდგენის ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს 2022 წლის 21 სექტემბრის 12 საათისა;
12. 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ერთიანი ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ელექტრონულად ასახვა უზრუნველყოს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2022 წლის 22 სექტემბრისა;
13. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს ლ.კლიმიაშვილს;
14. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

15. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
16. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;
17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64).

ვიცე-რექტორი
კლიმიაშვილი ლევან